წლიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 10 კ.    ტელეფონი № 76.    შაბათი ივლისის 1 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი: ნახევარი წლით . . 10 მან. თვიურათ . . 2 მან. ცალკე ნუმერი ათი კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის [illegible] ღირს . . 25 კ. უკანასკნელ გვერდზე 15 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ. სამგლოვიარო განცხადების [illegible] 2 საათ. 5 მ. 2 საათის შემდეგ [illegible]

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისში მ. ს. მიქელაძის ს. კანტორა ღია დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეებს გარდა.

№ 67    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 67

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები იოსებ ნიკოლოზის-ძე ციბაძე, მეუღლე მისი ელენე ბესარიონის-ასული ციბაძისა შვილებით: ვანო, შალიკო, თამარა. გულითადის მწუხარებით აუწყებენ: ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულად გარდაცვალებულ უსაყვარელს შვილისა,

**(ჭუჭულა) ალექსანდრე იოსების-ძე ციბაძის**

ცხედრის გამოსვენება მოხდება ალექსანდრე ახვლედიანის ბინიდან დაიკრძალება გოჭოურის სასაფლაოზე კვირას 2 ივლისს 5 საათზე არქიელის გორა პანაშვიდი ყოველ. დღე საღამოს 7 საათზე.

ღრმად მწუხარებაში მყოფი მშობლები. ვასილ და მეუღლე მისი ალექსანდრა ქორქაშვილები, შვილები მათი ნინო ლორთქიფანიძისა, ლევანი, ქეთო და თამარი, რძალი ცაცანო და სიძე ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 2 ივნას სოფელ გეგუთში წმ. ილიას ეკლესიაში დილის 11 საათზე დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი და დაუვიწყარის, შვილის და ძმისა კავკასიის ფრონტზე გმირულად მოკლულის.

**კოწია ქორქაშვილის**

სულის მოსახსენებლად.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 **„საქართველო“** 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი**: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**

გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივნისის 29, 1917 წ. ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი,

**ცოცხლად დამარხული**

დრამა 4 ნაწ. მონაწ. ჩერნოვისა. **ანტოშა ეზრძვის ფუფუნებას**

სახუმარო 2 ნაწ. მონაწ. ანტონ ფერტნერი.

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივნისის 29, 1917 წ. ნაჩვენები იქნება

**სამგლოვიარო ვალსი**

ხატვრული დრამა 5 ნაწილათ. მ. ნიკულინისა. მონაწილეობს ე. ჩაიკისა, მ. ტამაროვა და ვ. ელსკი.

1. განწირული; 2. სამგლოვიარო ვალსი; 3. საგმირო საქმეები განწირულისა; 4. ბოროტმოქმედება ექიმი ორსკის.

**ანონსი**: ივლისის 3, 1917 წ. ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

**გახრწნილება**

**რომანოვთა სახლისა.**

დრამა 4 ნაწ. ღლიურ პროგრამზე

1. ნაწ. გრიშკა რასპუტინი ნახულია; 2. ნაწ. გრიშკა რასპუტინი და ალექსანდრა; 3. ნაწ. ნიკოლოზი და ბალერინა; 4. ნაწ. მე მიყვარს ყვავილები.

იბეჭდება და მალე გამოვა

ნარკვევი

**ტიტე მარგველაშვილისა**

**საშუალებანი ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის.**

**გამოცდილი მასწავლებელი**

**(სტუდენტი) ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.**

ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს.

თ—1

**ექიმი** ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

# დღეს:

**წერილები:**

არგონ—ახალი რკინის გზა.
გრ. ცხაკაია—უკრაინის აღორძინება.
ირ—დი—შინაური მიმოხილვის მაგიერ.
კონტრ-რევოლუციის აჩრდილი.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. ეროვნული კითხვა. მსოფლიო ომი. დარიგება ქალაქის არჩევნების შესახებ. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

**სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვებისა.**

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



უკანასკნელი დღეები ცირკის ძმ. ეფიმოვებისა და ჩემპიონებისა.

შაბათს ივლისის 1, 1917 წ. გაიმართება გრანდიოზული სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა, რომელიც შესდგება საუკეთესო ცირკის ხელოვნებისაგან. მონაწილეობს საუკეთესო ცირკის ძალები. 42 დღეა საერთაშორისო ქალთა ფრანგული ჭიდაობისა დღეს იჭიდავებს

4 წყვილი 1. წითელი პირბადოსანი და ვასტუროვა: 2. ბელანი და რიურიკი: 3. ანატემა და რობოსტონი: 4. პეტერსონ და მანკო: დასაწყისი 8 ნახევარ საათზე საღამოს. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

**ანონსი**: ამ დღეებში გაიმართება გრანდიოზული ბენეფისი კლოუნებისა და ფლორენსის და კრისტის.

## ახალი რკინის გზა.

სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ სამხედრო სამრეწველო კომიტეტს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგის ინჟ. მულინის წინადადებით თანახმად გადაუწყვეტია, საჩქაროდ გაიყვანოს ფართო ლიანდაგიანი რკინის გზა სადგურ აჯამეთიდან ბაღდათამდის.

უკანასკნელი ცნობების შესაკრებათ ორი თუ სამი დღეა იქ უკვე მუშაობს გაგზავნილი ინჟენერი. მუშაობა ამ მკირე ხანში უნდა დაიწყოს და ორ სამ თვეში დამთავრდეს, რადგან ხე-ტყე, რომლის გადმოზიდვის იმედიც აქვთ და რომლისთვისაც განზრახულია მთელი გზის გაკეთება, ძლიერ გაძვირდა. როგორც მკითხველმა უსათუოდ იცის, ამ მხარეზე მარტო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აქვს ხელუხლებელი 12,000 დესიატინამდე ფიჭვისა და ნაძვის ტყე. გზის სიგრძე დაახლოვებით 28 ვერსია ნავარაუდევი.

ასეთი გზებით ჩვენის ქვეყნის დაქსელვა, რა თქმა უნდა, სიამოვნების მეტს არაფერს გამოიწვევს, ოღონდ ზოგი უნდა მივილოთ მხედველობაში და ყოველის ძალღონით ვეცადოთ ჩვენი გავიტანოთ.

ძველი მთავრობა, და მისი კონცესიონერები როცა გზები გაყავდათ, მკვიდრთა სურვილებს ნაკლებ აქცევდენ ყურადღებას... ამის კლასიკური მაგალითია ქუთაისის გარიყვა გარეშე მთავარი ლიანდაგისა; შედეგი ნათელია—ქუთაისმა ნაკლებათ ისარგებლა ლიანდაგის გამაცოცხლებელი ძალით...

ეხლა კი უნდა ვეცადოთ გზამ ისეთი მიმართულება მიიღოს, რომ აამოძრაოს მთელი ეს მხარე იმერეთისა, ეგზომ მდიდარი ტყის გარდა, ღვინით, ხილით, ბოსტნეულით, პურით, ვარდ-ყვავილებით და სამკურნალო წყლებით... ამიტომაც საჭიროა თვით ლიანდაგი იწყებოდეს არა აჯამეთიდან, არამედ ქუთაისიდან, რომელიც საუკეთესო ბაზარი იქნება ჯერ კიდევ მიყრუებულ მხარისათვის; მართალია, გზა გაგრძელდება, მაგიერათ იმ სპეციალური დანიშნულების გარდა, რომელიც დღეს დაუსახავთ ინიციატორებს, მრავალი სხვა მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებს და თვით გზასაც მეტი შემოსავალი ექნება, ვინაიდან გადასაზიდავი მასალა გაათკეცდება.

ყოველ შემთხვევაში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და ქუთაისის თვითმართველობამ დაუყოვნებლივ უნდა შეადგინონ კომისია ამ საქმის გასაძღოლათ, რადგან შესაძლებელი დღეს, ხვალ უკვე შეუძლებელი გახდება.

კომისიის მოვალეობა იქნება დაასაბუთოს თავის მოთხოვნილება და ზოგიერთ შემთხვევაში ხელი შეუწყოს გზის გაყვანას ხარჯების შემცირებაში; განსაკუთრებით კი ამ კომისიამ, თუ სხვა გვარათ არ მოხერხდა, უნდა დაარწმუნოს ადგილების პატრონები გზისთვის საჭირო მიწა უფასოთ დაუთმონ... ამას იმიტომ ვამბობ, რომ აწ უკვე შემუშავებული გეგმა ლიანდაგისა თითქმის სულ სახელმწიფო მიწაზე მიდის და ინიციატორებს სწორეთ კერძო მამულების შესყიდვა შეაშინებს უმთავრესად.

მეორე მხარე ამ საქმისა უფრო მცირე მნიშვნელოვანია, მაგრამ ისიც ყურადსაღებია, მით უმეტეს ეხლა, ამ 28—30 ვერსი რკინის გზის გაყვანა არა ერთსა და ორს მილიონს ფულს დატოვებს.

აქ გვჭირია ორგანიზატორული უნარის გამოჩენა... ჩვენ გაფხეკილ ქვეყანას ეხლა თუ უცხო პირები მიემატა სარჩენათ, თუ ზოგება კვლავინდებურათ უცხოელებმა გამოსწუწნეს დიდი უსამართლობა იქნება დაშვებული როგორც მუშა ხალხის, ისე მოიჯარადრე-ვაჭრების მიმართ.

გაჭივრების დროს მთავრობანი და თვითმართველობანი განგებ იწყებენ გზების და არხების გაყვანას, რათა მკვიდრთ, საქმის სამუშაოს მიცემით საშვალება გაუჩინონ უბედურებისაგან თავის დასახწევათ და, როცა სამუშაო უნებურათ ჩნდება თვით სახელმწიფოს ინტერესების დასაკმაყოფილებლათ, მაშინ ხომ მკვიდრთ უნდა მოანიჭონ ყოველგვარი უპირატესობა.

ამიტომაც გულზე ხელ დაკრეფილი ნუ შევხვდებით ამ მოვლენას; საკმაო და სასარგებლო საქმე შეუძლია გაიჩინოს, როგორც მუშამ ისე მოიჯარადრე-ვაჭარმა—მათი შეერთება არტელებათ და კომპანიებათ ხომ სასიქადულოთ ჩაეთვლება ქვეყნის ყოველ გულშემატკივარს.

Argon.

## უკრაინის აღორძინება.

არც ერთ ერზე არ მოუხდენია ისეთი მძლავრი და დიდებითი გავლენა რუსეთის რევოლუციას, როგორიც მოახდინა მან უკრაინელებზე.

სულ ნახევარი წლის წინათ უცხო თვალს ეგონებოდა, რომ ეს ოცდაათ-მილიონიანი ხალხი აღარ წარმოადგენს მთლიან ეროვნებას და მისი მომავალი, როგორც განცალკევებული ერისა, სამუდამოთ გათავდაო. და რა გასაკვირი იქნებოდა, რომ ასეც ყოფილიყო? დაწყებული 1654 წლიდან, როდესაც დადებულ იქმნა ცნობილი პერეიასლავის ტრაქტატი უკრაინასა და რუსეთს შორის, შემდეგში ცალმხრივად და ურცხვად დარღვეული უკანასკნელისაგან, უკრაინელები განიცდიდენ უდიდეს დევნას, ეგების კიდევ უფრო მეტს, ვიდრე მაგალითად ჩვენ, ქართველები. თუ რამდენათ პირდაპირ დაუნდობელი იყო ეს დევნა, ცხადია იქიდან, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება სამშობლო ენაზე დაებეჭდათ სახარება, ელოცათ ეკლესიაში ან კიდევ ესწავლათ ბავშთათვის სკოლებში.

მიუხედავათ ამისა, შემოჰკრა თუ არა თავისუფლების ზარმა, განადგურებული ერი აღსდგა მკვდრეთით, შეკავშირდა და დაიწყო შეთანხმებული და დაუღალავი მუშაობა ეროვნული ცხოვრების ასაღორძინებლათ. დაუყონებლივ დაარსდა კიევში ცენტრალური რადა, რომელმაც სულ მალე შემოიკრიბა თავისი დროშის ქვეშ ერის ყოველი ნაწილი და ამ რიგად იქცა ნამდვილ და უმაღლეს ეროვნულ ორგანოთ, რომლის გადაწყვეტილება დღეს აუცილებელი კანონია ყოველი უკრაინელისათვის.

მოსალოდნელი იყო, რომ განახლებული რუსეთი და მით უფრო დემოკრატიული ნაწილი მისი სიხარულით შეხვდებოდა უკრაინის აღორძინებას, მაგრამ, სამწუხაროდ, პირველ ხანებში ეს ასე არ მოხდა. სიხარულისა და ხელის შეწყობის მაგიერ დროებითმა მთავრობამ და მასთან ერთად საზოგადოებრივმა აზრმა რუსეთისამ გამოიჩინეს ძნელათ გასაგები პოლიტიკური სიბეცე და თანაც ნათლად დაგვანახეს, რომ მათ რაღაც თავისებურათ და მეტის მეტათ ფრთაშეკვეცილათ ესმით მათგანვე საქვეყნოთ აღიარებული ეროვნებათა თვითგამორკვევის პრინციპი.

ცენტრალურმა რადამ არა ერთხელ მიმართა დროებით მთავრობას თხოვნით, რომ მას სპეციალურ აქტით ეცნო პრინციპიალურად უკრაინის ავტონომია. მაგრამ ამაოთ. არა თუ მილიუკოვმა და გუჩკოვმა, არამედ სოციალისტებმა კერენსკიმ და წერეთელმაც მოხსნეს ეს საკითხი და გააგზავნეს რადა დამფუძნებელ კრებაში. ცხადია, რომ ეროვნული ორგანო ამის შემდეგ იძულებული გახდა მიემართა თვით ერისათვის. ის ასეც მოიქცა და გამოსცა აწ ისტორიული „უნივერსალი“.

ამავე დროს მან დაარსა „გენერალური კომისარიატი“, რომლის სათავეში ჩადგა გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი ვ. ვინიჩენკო. კომისარიატი უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას და განაგებს სამხედრო შინაგან, ფინანსიურ, სასურსათო და სხვა საკითხებს მთელი უკრაინის სივრცეზე.

მართალია, დროებითმა მთავრობამ არა სასურველი პოზიცია დაიკავა ამგვარ მოქმედებისადმი, მაგრამ გაუგებრობას ბოლო მოეღება და სამართლიანი მოთხოვნილებანი უკრაინელთა იქმნებიან დაკმაყოფილებულნი. თავდები ამისი არის ოფიციალური დეპეში, რომელმაც გვაცნო, რომ დროებით მთავრობას უკვე გაუგზავნია კიევში გამოჩენილი მოღვაწენი რადასთან შესათანხმებლათ.

გრ. ცხაკაია.

# შინაურ მიმოხილვის მაგიერ.

## მიწის კითხვა და გლეხთა ყრილობა.

არიან იდეები და აზრები, რომლებიც რეალ ცხოვრებაში ხორცს ვერ ისხამენ და ჩანასახშივე კვდებიან.

ქართველ ხალხისთვის განყენებულ და ყოვლად შეუფერებელ მრწამსა და ვრაცხდით მიწის სოციალიზაციის მიწის სოციალიზაცია, როგორც მიწით სარგებლობის პროექტს „პარტიულ თვალთა ხედვით“ კი არ უარჰყოფდით, არამედ ქართველი ხალხის ცხოვრება და რეალი ფსიხიკა გვავალებდა ამის თქმას. კერძო საკუთრება სარწმუნოებრივ დოგმაზე ურყევია ქართველ კაცში მისი ბუნება ფართე თავისუფლების მოყვარეა. იგი მხიარული და გულ გაშლილია, როდესაც თავისთვის აქვს სრული ეზო, ბაღი და ვენახი.

გლეხს უყვარს სოფელი: ქალაქში დღიურ ქირაზე მომუშავე ყოველთვის თავს ევლება სოფელში დატოვებულ თავის ეზო-გარემოს,

ქალაქის უკიდურეს ღარიბ მუშას სოფელში თავის საკუთრებაში აქვს სამოსახლო მიწა.

საკუთრება ჩვენი ბუნებისგან განუყრელი თანახლებაა. საქართველოში იშვიათია ისეთი მიწის მუშა, რომელიც თავის შეგნებით მიწაზე კერძო საკუთრებას უარყოფდეს.

სოფლის მცხოვრებლებმა, როდესაც გაიგეს, რომ სოციალიზაცია მამულების მომატებას კი არ ნიშნავს, არამედ კერძო საკუთრების ჩამორთმევას და მისს განსაზოგადოებას, საშინლად აღელდენ.

ქართველი გლეხების თქმა ასეთია ჩემს კონებას ნუ შეეხები, ხოლო თუ გარეშე იმისა რამე სიკეთეს მიზამ, ეგ შენ იცი. მიწის კერძო თასნ-ბით ფლობა უკეთეს ფორმათ დაუხატია ქართველ ხალხს. საკუთარ ნებისყოფით მიწის დამუშავება დიდ ინტერესს იწვევს გლეხში.

ეს ადვილათ გასაგებია მშრომელმა იცის, რომ მიწა მხოლოდ მისი კუთვნილებაა და ყოველივე სარგებლიანობა მიწისგან მასთან მივა. რა იქნებოდა, რომ მოსპობილიყო კერძო მფლობელობა და მის მაგივრათ სოც-რევოლუციონერების პროგრამა განხორციელებულიყო.

ე. ი. კერძო მესაკუთრეთ ჩამორთმეოდა მამული და გადასულიყო საზოგადოების ხელში. ამ პროექტის ცხოვრებაში გატარება ქართველ ხალხისთვის ბევრგვარ უბედურებას ამზადებდა. საერთო ძალით მოქმედება მიზან შეწონილათ არის საჭირო. კერძო საკუთრების პრინციპზე შეზრდილ გლეხს მიწის საზოგადო წესით დამუშავებით არა თუ რაიმე მადლი ერგუნება, არამედ ასეთს წესს იგი ვერ შეურიგდებოდა რისგამოც მას დამშევა მოელოდა.

ვინ მისცემდა საქართველოს იმის გარანტიას, რომ სოციალიზაციის დროს, ლოზუნგიც ორის — „მიწა მიწის მუშას“, — განსაზოგადოებულ ქართულ მამულებს უცხოეთიდან მოდენილი მუშები არ დაეპატრონებოდენ?

ყოველ გვარი მოვლენა იმას გვაჩვენებდა, რომ უკანასკნელ დროს საქართველოში ძლიერის ნაბიჯით იზრდება და წინ მიდის წვრილი მესაკუთრეობა. ვეებერთელა მამულთ მფლობელობა სად და არის?

ქალაქში წასულმა დღიურმა მუშამ სოფელში მემკვიდრეობით გადმოცემულ მამულზე ხეირი გაიჩინა და კულტურულ მეურნეობას ეწევა. სტატისტიკაც გვიმოწმებს, რომ ამ ჟამად საქართველოში არიან მხოლოდ წვრილი მიწად მომქმედები, რომელებიც თავის ენერგიით ამუშავებენ მიწას, გარდა ორ სამ მემამულისა, რომელებიც გამონაკლისს შეადგენენ და რომელთა მამულიც დაგირავებულია.

ქართ. სოც.-ფედ. სერევოლუციო პარტიამ ჩვენი ცხოვრების თავისებურათ შეცვლა მოიწადინა.

რეალ გარემოებას ზურგი შეაქცია და მიწაზე კერძო საკუთრება მოსპობილათ გამოაცხადა.

ფედერალისტები გაამხნევა ფრონტის ყრილობის რეზოლუციამ, რომელიც აგრეთვე მიწის სოციალიზაციას აღიარებდა.

მაგრამ მოუსმინოთ ჭეშმარიტებას.

საქართველოს ყოველ კუთხიდან თბილისში გლეხთა ყრილობაზე წარგზავნილ დელეგატებს ხალხმა დაბარა.

„მიწის კერძო საკუთრების“ დებულებას არავინ შეეხოსო. ყრილობაც მოხდა და მან მიწის მფლობელობის დარგში კერძო საკუთრების პრინციპი მიიღო.

ცხოვრებამ სთქვა თავისი სიტყვა. სოციალ-ფედერალისტები გლეხთა ყრილობაზე გამოტანილ დადგენილებას პარტიულ და ხელოვნურ გამარჯვებათ სთვლიან. ეს დალოცვილები გაისარჯონ და იკითხონ, ყრილობაზე მყოფი რომელი გლეხი იყო სრულის შეგნებით კერძო საკუთრების წინააღმდეგი?

ამ კითხვაზე, რასაკვირველია, ისინი სასურველ პასუხს ვერ მიიღებენ, რადგან საქართველოს არც ერთი კუთხე არ მოითხოვს მიწის სოციალიზაციას.

ამ რიგათ ყრილობაზე რომელიმე პარტიას კი არ გაუმარჯვია. იქ გაიმარჯვა ხალხმა და მისმა რეალმა მისწრაფებამ.

ხალხის ცხოვრების, ასე თუ ისე მოწესრიგება პარტიულ პროგრამებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ხალხის ნამდვილ სურვილ — მოთხოვნილებაზე. ხოლო პარტიების ვალია ხალხის პირდაპირ წადილს შესაფერისი ხელმძღვანელობა მისცენ.

ირ—დი.

---

# აჩრდილი კონტრ-რევოლუციისა.

(წერილი ეკუთვნის პროფ. ნ. ალექსეევს. იხ. „უტრო როს.“ № 151)

საფრანგეთის რევოლუციის ისტორიკოსები ამტკიცებენ, რევოლუციურმა საფრანგეთმა თავის დაწესებულებებში ძველი წესწყობილების სული და ხასიათი შეიტანაო. ძველ ფორმებს ისე შებოჭვილი ჰყავს ხალხი, რომ ერთის დაკვრით არ შეიძლება მათი მოსპობა. მათგან შებოჭვილია თვით უაღრესად გაბედული და გადაჭრილი აზრი და გრძნობა, რევოლუციური პრაქტიკა, რევოლუციური შემოქმედება.

შემცდარია ის აზრი, თითქოს ძველი ფორმების ზეგავლენა ამოიწურებოდეს იმით, რომ ადამიანი შესჩვევია ძველ სახელმწიფოებრივ პრაქტიკას. არსებითად ეს ზეგავლენა უფრო ფართეა, მას შეუძლია შეუმჩნევლად მთელი რევოლუციური შეგნებაც კი გამსჭვალოს. ხშირად რევოლუციონერები ვერ ამჩნევენ, რომ უნებლიედ, რაღაც ავტომატური მოქმედებით, ისინი ძველი წესწყობილების შეცდომებს იმეორებენ. მე მგონია, რომ ასეთი აჩრდილი ძველი წყობილებისა თავს დასტრიალებს დღევანდელ შიშს ეგრედ წოდებულ კონტრ-რევოლუციის წინაშე. აქ იმის რაღაც გამოძახილი ძველი რეჟიმისა, თავს იჩენენ რაღაც ძველი სახეები.

ძველ რეჟიმს ეგონა. რევოლუცია მიმალულია სადღაც, როგორც მოხერხებული და ბოროტი მხეცი. მთავრობის მთელი პოლიტიკა ამ „მხეცის“ აღმოჩენას და მისგან თავდასხმის არიდებას ემსახურებოდა. რა და რა საშუალებას არ მიმართეს, რომ ჩაეღრჩოთ ეს „გიდრა რევოლუციისა. მაგრამ რა გამოვიდა. დაჰკრა საათმა და რევოლუციამ თავისი სადღესასწაულო. თავისი თამამი ძლევამოსილი მსვლელობა გამართა. რევოლუცია თანდათანობითი მომწიფების ორგანიული პროცესია. როდესაც ეს პროცესი დასასრულს მიაღწევს, მაშინ რევოლუცია სასწაულებრივ ხდება: ის, რაც საუკუნეებით იდგა, რამოდენიმე დღის განმავლობაში მიწასთან სწორდება. ამიტომ არ არსებობს იმაზე უფრო საბრალო შეხედულება, რომელსაც რევოლუცია „გიდრის“ სახით წარმოუდგენია; არ არსებობს იმაზე უფრო ვაგლახი საშუალება რევოლუციასთან ბრძოლისა, რომელიც „მხეცს“ დაეძებს და მის მოსპობას ლამობს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი დემოკრატიული რუსეთი სხვა გვარი გიდრის, „კონტრ-რევოლუციის“ გიდრის ძებნის სურვილმა გაიტაცა. აი აქ ვხედავთ ჩვენ ძველის განმეორებას. კონტრ-რევოლუცია რუსეთში სადღაც „ჩასაფრებულა“, მას დაეძებენ, მის წინააღმდეგ პროტესტებს აცხადებენ, დემონსტრაციებს ჰმართავენ. ჯერ საქმე დატუსაღებასა და ადმინისტრატიულ გადასახლებამდე არ მისულა. მაგრამ თუ შემდეგშიც ამ გზით ვიარეთ, ვინ იცის, იქნებ ამ ზომების ხმარებაც გაგვიჭირდეს.

უნდა განვიმეოროთ. არ არსებობს იმაზე უფრო საბრალო შეხედულება, რომელსაც კონტრ-რევოლუცია მიმალულ მხეცის სახით წარმოუდგენია.

ძველ წესწყობილებას, რა თქმა უნდა, ფარული მომხრეები ეყოლება, მაგრამ ისინი უძლურნი არიან მანამ, სანამ არ შეიქნება პირობები, რომელნიც მასიურ კონტრ-რევოლუციურ სულისკვეთებას ასაზრდოებენ. საშიში ის კი არ არის, რომ ადამიანთა პატარა გროვა ძველის დაბრუნებას ეტრფის, არამედ საშიში ის არის, რომ ხალხის მასაში არ განმტკიცდეს მისწრაფება ძველი წყობილებისადმი რეაქციონერთა პატარა გროვა კონტრ-რევოლუცია არ არის. თანდათანობითი გაცრუება რევოლუციით წამოყენებულ იმედისა, — აი რა გახლავსთ რეაქციის უტყუარი ნიშანი. გაუფრთხილდით ხალხს, იმედებს ნუ გაუცრუებთ და თქვენ მას კონტრ-რევოლუციისაგან დაიფარავთ.

კონტრ-რევოლუცია როგორც ისტორიული მოვლენა, ისეთივე ორგანიული პროცესია, როგორც რევოლუცია. ნუ შექმნით პირობებს ასეთ პროცესის განვითარებისათვის, ნუ ებრძვით აჩრდილებს, მოსძებნეთ და მოსპეთ ნამდვილი მიზეზები. რამდენი ძალა ღახარჯა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ კონტრ-რევოლუციის აჩრდილის წინააღმდეგ ბრძოლაში. საფიქრებელია რომ ტერორის დროს რევოლუციის ყველა მოწინააღმდეგე უნდა მოესპო. მაგრამ აი მოვიდა პატარა გენერალი და გარეკა დირექტორიის მთავრობა. „პარიზელებიო, — სწერს რევოლუციის ისტორიკოსი, — ყველაფერ ამას გულგრილად მოეკიდენ; პარიზში არავითარი მოძრაობა არ მომხდარა, არც თანაგრძნობითი, არც საწინააღმდეგო, თუმცა ქუჩები გავსებული იყო ცნობის მოყვარე ხალხით, რომელიც ბონაპარტეს განცხადებას კითხულობდა.“

პროვინციაშიც არსად დასჭირვებია მთავრობას კანონის დასაცავად აღმოცენებულ ამბოხებათა ჩასაქრობად ზომების მიღება.

სად იყო აქ კონტრ-რევოლუციის გიდრა — ნაპოლეონში, თუ იმათში, რომელთაც მის მოსვლას გულ-გრილად მოეკიდენ?

მაგრამ ამის მსგავსი რომ საფრანგეთში 1848 წელსაც მოხდა. „მონარქია დაემხო; ხალხის ძალა-უფლების უზენაესი პრინციპი შეიწყნარეს არა მარტო, როგორც განყენებული უფლება, არამედ წინააღმდეგობის გაუწევლად ცხოვრებაშიც გაატარეს,.. მშვიდობიანობა არ დარღვეულა, თავისუფლება არ შელახულა... კრებას რომელიც საყოველთაო ხმის მიცემით იქნა არჩეული, ეხლა უნდა განემტკიცებინა, განევითარებინა და საბოლოოდ მოეწყო ეს დიდი საქმე.“

მაგრამ ყველ ამისდა მიუხედავად, დადგა დრო, როდესაც საფრანგეთის ხალხი, საყოველთაო ხმის ნიცემით პრეზიდენტის ამოსარჩევად მოწოდებული, 5 ნახ. მილიონ ხმით ირჩევს ნაპოლეონ 3, რომელიც 1851 წ. თავის თავს იმპერატორად აცხადებს.

სად იყო „კონტრ-რევოლუციის გიდრა“, — ნაპოლეონ 3-ში, თუ იმ ხალხში, რომელმაც მას ხმა მისცა და მის იმპერატორად შეწყნარებაზე უარი არა სთქვა.

ხალხის რევოლუციური გრძნობანი ფრთხილ მოპყრობას მოითხოვენ. რევოლუციისთვის საშიში არაა კერძო პირთა თუ პარტიების ინტრიგები; მაგრამ რევოლუციას სიკვდილის ჟამი მაშინ უსწრობს, როდესაც ხალხი გრძნობს, რომ მისი მოლოდინი არ ასრულდა. რომ რევოლუციამ მას ან არაფერი ან და ძლიერ ცოტა მისცა.

კონტრ-რევოლუციას ისა ჰქმნის ვინც ხალხს იმედსა სტაცებს, ვინც უზომოდ ბევრსა ჰპირდება, მიცემით კი ცოტასა აძლევს. აი აქ ეხსნება გზა ბონაპარტიზმს, აი აქ იკრებს ძალას კონტრ-რევოლუციური მისწრაფება.

---

# რევოლუციის ამბები.

## სრ. რუსეთის გლეხთა საბჭო და გლეხთა კავშირი.

პეტროგრადი. ივნისის 27. სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრ. კომიტეტი რუსეთის მშრომელ გლეხობას მოწოდებით მიმართავს. რომელშიაც აღნიშნულია. რომ გლეხთა საბჭოს გარეშე მდგომნი სცდილობენ საბჭოს დამოუკიდებლად მოაწყონ „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირს“ ორგანიზაცია. გლ. საბჭოს აღმ. კომიტეტი აფრთხილებს გლეხობას, რომ ხსენებულ „კავშირის“ მოწვევის მიზანია განხეთქილება შეიტანოს გლეხებში, რის გამოც გლ. საბჭო მოუწოდებს გლეხებს წინააღუდგნენ ასეთ ცდას და მოემზადნენ გლეხთა დეპუტატების საბჭოს მეორე სესიისათვის, რომელიც პეტრორგრადში განახლდება მარიამობისთვეში დამფუძ. კრების არჩევნების მოახლოვების გამო.

## „წითელ ჯვრის“ დაწესებულებათა წარმ. ყრილობა.

პეტროგრადი. ივნისის 27. გაიხსნა „წითელჯვრის“ დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა. თავმჯდ. პროფ. იგნატოვსკი ყრილობას ნაყოფიერ მუშაობისკენ მოუწოდებს. დრ. მთავრობის და სახ. სათათბიროს სახელით კომ. ველიხოვი მიესალმა. ჯ. და მ. დეპ. საბჭოს წარმომადგენელმა მაგუტამ ის აზრი გამოსთქვა რომ დემოკრატიულად განახლებული „წით. ჯვ.“ დაწესებულებანი დახმარებას გაუწევენ მიზნის მიღწევაში ეხლახან დაწყებულ შეტევას.

## ბინის ქირის ახალი კანონი.

პეტროგრადი. ივნისის 27. იუსტიციის მინისტრმა პერევერზევმა დრ. მთავრობას დასამტკიცებლათ წარუდგინა ახალი კანონი ბინის ქირის გადიდების რაოდენობის შესახებ.

## მოსკოვის მუშ. და ჯ.-კ. საბჭო და შეტევა.

მოსკოვი. ივნისის 27. მოსკოვის მუშ. და ჯარ. კ. დეპ. საბჭოების შეერთებულმა სხდომამ დაადგინა დახმარება გაუწიოს დროებითი მთავრობის განკარგულებით დაწესებულ შეტევას.

## ცარიცინის გარნიზონი წუნარდება.

ცარიცინი. ივნისის 27. დიდის ზეიმით გააცილეს პირველი „მებრძოლი როტა“ მუშები მოხალისეებს ფულს ურიგებდნენ. მატარებელი რომ დაიძრა, ისმოდა მარსელიოზა და ძახილი. „გავწყდებით თავისუფლებისათვის.“

## კრონშტადტი და საგამომძიებლო კომისია.

პეტროგრადი. ივნისის 27. მუშ. და და ჯარ. კაცთა საბჭომ კრონშტატი უთანხმოების გამო მიიღო ჯარისკაცთა სექციის საგამომძიებლო კომისიის რეზოლუცია: დამნაშავეთა გამოძებნის შემდეგ კომისიის მუშაობა ნაყოფიერი იქნება.

## მილიციის მთავარ გამგეობის განკარგულება.

პეტროგრადი. ივნისის 27. მილიციის მთავარი გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ გაუქმებულ არ არის ის განკარგულება რომლის ძალითაც საზღვარ გარეთ მყოფთა, რომელნიც სამხ. ბეგარის მოსახდელათ არ მოსულან, პასპორტები არ მიეცემათ.

## ჩითი ხალხისთვის

პეტროგრადი ივნისის 27. სასურსათო სამინისტროს 1 მილიონი არშინიჩითი დაუმზადებია მცხოვრებთა შორის გასანაწილებლად სამინისტროს აზრად აქვს სულ გაანაწილოდ 30 მილ. მანუფაქტურა.

## პურის რაოდენობის აღწერა.

პეტროგრადი. 27 მინისტრ პეშეხონოვის თავმჯდ. მომხდარმა თათბირმა პურის მოკრების შესახებ დაადგინა საკომლო აღწერა მოახდინოს პურის რაოდენობისა, რომელიც სექტემბრის 15 მოხდება.

## საარჩევნო ოლქებად დაყოფა.

პეტროგრადი. ივნისის 27. დაფუძნებულ კრების საარჩევნო კანონის დასამუშავებლიათ მოწვეულმა თათბირმა დაადგინა: ჩრდილოეთ კავკასია ერთ საარჩევ. ოლქად გამოჰყო,, ხოლო თურქესტანი 4 სარჩევ. ოლქად დაიყოს, უნდა აირჩეს კომისია. რომელიც შეიმუშავებს კანონს დამფ. კრების არჩევნების დროს დამსჯელი ნაწილის მოქმედებისას.

## შრომის მინისტრის მოწოდება მუშებისადმი.

**პეტროგრადი.** ივნისის 27. ამხანაგებო მუშებო! რევოლუცის ამ კრიტიკულ მომენტში ქარხნები ვეღარ ამუშავებენ საკმარისად პირველ საჭიროების საგნებს. გლეხობას ვეღარ მივაწვდენთ საჭირო ნაწარმოებებს. დრ. მთავრ. მიზნად დაისახა ებრძოლოს ძველი რეჟიმის მიერ შედეგნი სასურსათო უწესრიგობას რევოლუციურ მთავრობის ავტორიტეტით სახალხო მეურნეობის მოსაგვარებლად დაწესდება სახელმწიფო კანტროლი. ყველა სამრეწველო დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული მარვა გამგეობა დამყარდება. იმოქმედებს სურსათის მიმწვდელი სარაიონო კომიტეტები და მთავარი საეკონომიო კომიტეტი, რუმელიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ჩაერევა. ეს კომიტეტი საუკეთესოთ გამოიყენებს რუსეთის სამრეწველო ძალებს, თუ მუშები დახმარებას გაუწევენ მას. თავდაპირველად თქვენ ზეა დამყარებული სახალხო მეურნეობის ბედი. ამიტომ მთელის თქვენის ძალღონით ეცადეთ შეაკეთოთ ასოსობით დაზიანებული ორთქლმავლები, მიეცით რუსეთს, რაც შეიძლება მეტი, ქვა-ნახშირი, ... და სხვა საჭირო საგნები, ... ძველი მთავრობის დროს, როდესაც ... ... წრეები ... ნენ.

მით უმეტეს სასურველი არ არის რევოლუციური დემოკრატიისთვის იმ მუშების საქციელი, რომელთაც ავიწყდებათ ტეხნიკურ ცოდნით აღჭურვილ პირთა სიმცირე რუსეთში, ვერ აქვთ წარმოდგენილი ნათლად ქარხნების სამეურნეო ტეხნიკური მხარე სამრეწველო დაწესებულებების მართვისა, და ძალადობას ხმარობენ სამრეწველო დაწესებულებათა მსახურთა და გამგეებზე, ითხოვენ მათ, ერევიან ქარხნების გამგეობაში და ხშირად სრულიად თავის ხელში ჩაგდებას ლამობენ. თუმც ბევრი ტანჯვა აიტანეთ ძველი რეჟიმის დროს, მაგრამ იყავით რევოლუციის კრიზისის დროს. მტერი აღტაცებას ეძლევა, როდესაც ტეხნიკოს-ინჟინერთა განდევნის გამო მრეწველობა ეცემა და ქარხნებზე მომუშავე უცხოელთ სდევნით ქარხნებიდან.

მოქალაქენო! შრომის სამინისტრო დაჟინებით მოითხოვს, რომ ყოველივე უთანხმოება მუშათა და მეპატრონეთა შორის შემარიგებელ კამერებმა და სამედიატორო სასამართლომ გაარჩიოს. ქარხნების ძალით ხელში ჩაგდებას კი მოსდევს ის, რომ შესაფერ ცოდნისა და თანხის უქონლობის გამო მუშები ან ჰკეტენ სრულიად ქარხნებს და უფრო ცუდ მეპატრონეებს უცვივდებიან ხელში. ამხ. მუშებო! მეურნეობის მტკიცე ორგანიზაცია, ფართე მასსის შეგნება და სამრეწველო ძალთა განვითარება მიგვაღწევინებს სოციალისტურ იდეალს და არა ქარხნების ძალით ხელში ჩაგდება. რევოლუციის ინტერესი მოითხოვს, რომ ყველამ თავის ადგილზე თავისი მოვალეობა შეასრულოს.

მხოლოდ დროებითი მთავრობის კანტროლი შესძლებს მიზანს მიაღწიოს და მოაწყოს სახალხო მეურნეობა: მხოლოდ მაშინ არ დაიხურება სამრეწველო დაწესებულებები პატრონების სურვილით და მრეწველობა დაუქვემდებარდება იმ გეგმას, რომელსაც თვით საჭიროება გვიკარნახებს. მუშათა წარმომადგენლები გეგმის შემუშავებისა და მის განხორციელებაში მონაწილეობენ. ამიტომ მხარი დაუჭირეთ მათ. ამხ. მუშებო! თქვენ უეჭველია გაწუხებთ ის აზრი, რომ ომის შემდეგ ქარხნები დაიხურება და, მყუდროებას უმუშევრობის ლანდი გიფრთხობთ და მართლაც ეხლავე მრეწველობის ახლად მოწყობას ყოველდღიურად ქუჩაში ათასობით უმუშევარი გაჰყავს. შრომის სამინისტრო ყოველ ღონეს ღონობს, რომ ყველა სამხედრო ქარხნები ომის შემდეგ სხვა მოთხოვნილებებს შეუფეროს დაარსებს მთელს რუსეთში შრომის ბირჟებს. ეხლავ საჭიროა ათასობით მუშა რკინის გზებზე და ჭირნახულის მოსაკრებად. შრომის სამინისტრომ ზომები მიიღოს რომ იქ, სადაც თქვენ შეგიძლიათ. მუშაობა, აღარ დააყენოს ჯარის-კაცები და სამხედრო ტყვეები; აღკრძალულ იქნება მცირე წლოვანთა შრომა, თქვენ გაგიადვილებთ ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას. ამავე დროს შრომის სამინისტრო ამუშავებს კანონს მუშების დაზღვევასა ავადმყოფობისა და უბედურ შემთხვევისგან აგრეთვე უზრუნველ ყოფს კანონს უმუშევრობისა, სიბერისა და შრომის უნარის დაკარგვის გამო და ისეთი ზომების მიღებას აპირებს, რომლებიც უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს მუშებს. რასაკვირველია, ქარხნების სამხედრო საჭიროების მუშაობისაგან გადასვლა მშვიდობიან დროს საჭიროებისათვის მუშაობაზე ვერ მოხდება უკრიზისოდ. მეურნეობისთვის დაუძლურება 3 წლის ომის გამო მძიმედ დააწვება ხალხის ფართე წრებს. ამ საშიშ შედეგებს რამდენადმე შეამსუბუქებს მხოლოდ რკინის დისციპლინა, მუშების შეკავშირება და სახელმწიფოს დროის დიდი მიზნების შესაფერი სოციალური პოლიტიკა. მაგრამ შრომის სამინისტრო მაშინ განახორციელებს ამ გეგმას, თუ თვით მუშებმა ოაუჭირეს მხარი მას ამხ. მუშებო! თქვენ უფლებებთან ერთად გახსოვდეთ თქვენი მოვალეობაც თქვენი სურვილების წამოყენების დროს

გაითვალისწინეთ, რამდენადე შესაძლებელია მათი განხორციელება; მანამდე როგორც თქვენი ბედნიერება ისე მსხვერპლის საჭიროება რევოლუციის გასამტკიცებლათ და საბოლოვო მიზნების მისაღწევათ.

# უცხოეთი.

პ. ტ. ს.

## დეპეშები.

ჩინეთი.

შეკინი. ივნისის 25. იმპერატორის ბრძანებით რევოლ. ჯარში თანამდებობიდან გადააყენა მთავარი დამნაშავე ამბოხებისა, ჩჟილის გენ.-გუბერნატორის კოლობის მთავარი მრჩეველი ჩუანსიენი.

# მსოფლიო ომი.

პ. ტ. ს.

## დეპეშები.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ივნისის 27. ბრზეჟანის სამხრეთით საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა: ივნისის 26 სტანისლოვოვის დასავლეთით ლენ. კორნილოვის ჯარი შეტევას განაგრძობდა. ავსტრიელები და გერმანელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ და კონტრ იერიშებზე გადმოდიოდნენ. უფრო მედგარი და სისხლის მღვრელი ბრძოლა ასტყდა გალიჩისკენ მიმავალ გზებით: სს. ხუცისკასა, პატიკუევსა და და პაველჩეში, რომლის ქუჩებზედაც ხიშტებით ბრძოლა გაიმართა, აქ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.

სალამოთი ჩვენმა ჯარმა მდ. ლუკავიცეს მიაღწია და დაიპყრო სს. ვიქტოროვი, მაიდან, ხუტსიცკა და პატიკუვი; მოწინააღმდეგე მდ. ლომნიცისკენ იხევს. დღის განმავლობაში ტყვედ წამოვიყვანეთ 1000 ავსტრ. და გერმანელი, ხელთ ვიგდეთ 3 საველ და ბევრი სასანგრო ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველები, დიდძალი საინჟენერო მოწყობილება, საომარი მასალა. სულით ძლიერი ჩვენი ჯარი სამაგალითოდ იქცევა. აფიცრები მუდამ წინ არიან. ორი დღის შეტევის შედეგი იყო 20 ვერსის მანძილზე ბრძოლის პირი გავარღვიეთ სტანისლავის დასავლეთით და 4 ვერსით წინ წავიწიეთ. დანარჩენ ასპარეზზე სროლა. და მზვერავთა მოქმედებაა.

პეტროგრადი. ივნისის 27. რუსის ჯარს თვით გალიჩში 200 ზარბაზანი ჩაუგდია ხელში.

პეტროგრადი ივნისის 28. გენ. კორნილოვის ჯარი დამარცხებული მტრის დევნას განაგრძობდა იეზუპოლ-სტანისლოვოვ-ბოგოროდჩაის ხაზით. დღის 12 საათ. გენ. ჩერემისოვის სარდლობით გალიჩი აიღო. მდ. დნესტრის მარცხენა მხარეზე გადასულმა ჯარმა მდ. ლომნიცას მიაღწია, ლომნიცა დობროვლიანის ხაზზე მცირე ბრძოლის შემდეგ ლომნიცის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და ს.ს. ბლუდნიკა და ბაბიკა დაიპყრო. ბოგოროდჩანიბოლოტინის ხაზზე მტერი სძლია ლესოვკა-კოსმაჩის ხაზს მიაღწია. დღის განმავლობაში ტყვეთ წამოვიყვანეთ 2000 კაცი. და ხელთ ვიგდეთ 30 ზარბაზანი.

სამ დღეში (ივნ. 25-27) დოლინის მიმართულებით ტყვეთ წამოვიყვანეთ სულ 150 აფიცერი და 10000 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 80 ზარბაზანი ამათში 12 მძიმე, დიდი ძალი სასარგებლო იარაღი ტყვისმფრქვეველები და საინჟენერო მისალა. დანარჩენ ასპარეზზე ზარბაზნების სროლაა, უფრო კი ზოლოჩევის მიმართულებით და ბრზეჟანის სამხრეთით.

რუმინეთისა და კავკასიის ასპარეზი.

მდგომარეობა უცვლელია.

ბალტიის ზღვა.

ივნისის 26. მტრის საზღვაო-საჰაერო რაზმები თავს დაესხნენ რენსბურგს, რადიონს და ცერელს, რესიდის ბატარეაზე 30 ყუმბარა ჩამოაგდეს, რასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ივნისის 25 მტრის ცეპელინმა ოლადის შხერების სამხ. დას. ნაპირისაკენ გაიარა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. ივნისის 27. სალამოს ოფიციალი. ფრუდემონის ფერმის დასავლეთით გერმანელთა ერთი მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ. მორონვილიესა, 304 მაღლოობისა და მარტო მის მიდამოებში ორივე მხრით ზარბაზნების საკმაოდ ძლიერი სროლა იყო.

ჰავრი. ივნისის 27. ოფიციალი. სანჟერის სამხრეთით მტერი ლამობდა ჩვენს სადარაჯოებს მოახლოვებოდა, მაგრამ უკუ ვაქციოთ. ზარბაზნების სროლა შუა დღისას გაძლიერდა. გერმანელებმა ზარბაზნები დაუშინეს ბელგიელთა ჯარის ზურგის უკანა მიდამოებს, რამაც რამდენიმე მცხოვრები იმსხვერპლა.

ლონდონი. ივნისის 27. ოფიციალი. კოსტუბერნოს აღმოსავლეთით რამდენიმე წინ წავიწიეთ. იპრის არხის სამხრეთით თავდასხმა მოვახდინეთ და რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

ლონდონი. ივნისის 27. ოფიციალი. გერმანელებმა ვარისტორეს დასავლ. ერთი ჩვენი მოწინავე სადარაჯო წაგვართვეს, ხოლო ლაზანტის აღმოსავ. ხუთი სანგარი დაიპყრეს.

პარიზი. ივნისის 27. რამდენიმე ალაგას ავსტრიელებმა ზარბაზნების სროლა გააძლიერეს. ლაფის წისქვილის ჩრდილოეთ. მტრის 3 იერიში მოვიგერიეთ. ორტებიზის პოზიციებზე მოტანილი მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ასეთივე ბედი ეწვია მტრის იერიშებს კორშნის სამხ. ალმ. კურტის ჩრდილო, ბერნი-კორუის მიდამოებში. მტერი ყველგან დიდად დავაზარალეთ ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები.

ბალკანეთის ასპარეზი

ლონდონი. ივნისის 27. ინგლისელთა საფრენმა ქ. პეტრიჩს ყუმბარები დაუშინა, სტრუმაზე დარაჯთა შეტაკებაა. მდ. წრნის მოსახვევში მტერმა ჩვენს პოზიციას ზარბაზნები დაუშინა.

ზ ღ ვ ა ზ ე.

ლონდონი. ივნისის 27. საამირბარო იტყობინება. ლაუსტოვტის ნავთსადგურის უფროსის ცნობით. შეიარაღებულ კატერს: „ზეელანდ"-ს გერმანელთა 2 გიდროპლანი გაუნადგურებია და 4 ტყვე მოუყვანია.


## ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქუთათურ კოოპერატიებს და ქალაქის დუქნებს დაურიგდა გასაყიდად ადგილობრივი სიმინდის ფქვილი. ფუთი სიმინდის ფქვილი იყიდება 4 მან. 10 შაურად.

კვირას ივლისის 3, სალამოს 7 საათზე რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება

## ეროვნ. დემ. პარტიის

წევრთა და თანამოაზრეთა კრება. კრების საგანია: საპროგრამო საკითხები.


# ახალი ამბავი

—:—

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორა სთხოვს ხელის მომწერთა, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

✦ კრება. სამშაბათს, ივლისს 4, ნაშუადღევის საათის ხუთზე, რეალურ სასწავლებლის შენობის დარბაზში გაიმართება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თანამოაზრე მოსწავლე ახალგაზრდათა (ქალთა და ვაჟთა) საერთო კრება. კრებაზე წაკითხულ იქნება რეფერატი. თანამოაზრეთ ვთხოვთ ნუ დააკლდებიან.

✦ ტყვეულობის მოსპობა. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა განკარგულება გამოსცა, რათა ყოველგვარი ტყავეულობა დაუყონებლივ სახელმწიფოს გადაეცეს.

✦ სათბობის მონოპოლია. სათბობის საქმეთა მომწესრიგებელმა კომისიამ დაადგინა, ის ქვანახშირი, რომელიც სათბობათ იხმარება, საჩქაროთ სახელმწიფოს განკარგულებაში გადავიდეს, რათა შემდეგ თანასწორათ იქმნეს განაწილებული.

✦ საქალაქო არჩევნების გარშემო. ქალაქი სამ საარჩევნო ნაწილათ არის დაყოფილი. ცენტრალ უბანში საარჩევნო კომისიას თავმჯდომარეობს ბ-ნი ილია ჩიქოვანი, სამთა უბანში ბ. გრ. გველესიანი და წყლის გაღმა ნაწილში ბ. გრ. გიორგაძე.

✦ ყრილობა. 9 ივლისს ქალაქის თვითმართველობის შენობის დარბაზში დაიწყება ყრილობა საგუბერნიო დრ. ალმ. კომიტეტის არჩევნების მოსახდენათ. მაზრებიდან ამ ყრილობაზე ყოველ 10 ათას მცხოვრებზე თითო წარმომადგენელი უნდა გამოგზავნონ.

✦ უსუფთაობა. ქუთაისის ქუჩები წინანდელივით დიდ უსუფთაობაშია. ქუჩებში ყრიან ნაგავს მკვდარ მფრინველებს და იშვიათად გვიან. რადგან ქალაქში ძლიერი სიცხეები დაიჭირა და უსუფთაობისგან მოსალოდნელია სხვადასხვა სენის გაჩენა. ამიტომ საჭიროა ქალაქში სისუფთავის დაცვას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

✦ რკინის გზა. გზათა მიმოსვლის სამინისტროში აზრათ აქვთ პირველ ივლისიდან რკინის გზებზე შეამცირონ საგარეო მატარებლების რიცხვი და სამაგიეროთ გაადიდონ საქონლის მატარებლების მიმოსვლა.

✦ არჩევნები მოსკოვში. მოსკოვის საქალაქო არჩევნებში სოც. რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს.

✦ ჯარის გაწვევის შესახებ. ქალაქთა კავშირის მთავარს სამმართველო იტყობინება, რომ ის პირები, რომლებიც სახელმწიფოს თავდაცვით დარგში მუშაობენ, ჯარში არ იქნებიან გაწვეული.

✦ სომხთა ყრილობა. მარიამობისთვის 10 ს, ქ. თბილისში გაიმართება სომხთა ეროვნული ყრილობა. როგორც ვიცით, ამ ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სომხის სოციალ-დემოკრატები.

✦ პაპაჯანოვის დეპეშა. ამიერ კავკასიის კომისარიატის წევრი ბ-ნი პაპაჯანოვი ქუთ. ალმ. კომიტეტს დეპეშით ატყობინებს: რადგან კავკასიის მიწათ მფლობელობას თავის განსაკუთრებული თვისებები და პირობები აქვს, ამიტომ სამამულო კომიტეტების კანონი ამ მოკლე დროში შეცვლილ იქნება და ახალი შესაფერი წესრიგი გამოიცემა.

✦ მილიციის საქმე. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი ქუთ. ალმ. კომიტეტს აუწყებს, რომ ამ მოკლე დროში უნდა მოხდეს მილიციის ხელ-ახალი არჩევნები. ამის გამო საგანგებო კომიტეტი ქუთ. ალმ. კომიტეტს უგზავნის მილიციის ასარჩევათ სახელმძღვანელო ინსტრუქციას, რომელიც შედგენილია თბილისის საგუბერნიო კომისარიატის მიერ.

— ტყვეების გაცვლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველო სრულიად რუსეთის სახელმწიფოს გუბერნიების კომისარებს აცნობებს, რომ ნება დართულია მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში მყოფ ტყვეთა გაცვლა, რისთვისაც საჭიროა, გუბერნიის კომისარებს ცნობები წარუდგინოს ტყვეების მშობლებმა. პირველ რიგში მოხდება სპეციალისტების გაცვლა.

✦ უმაღლეს სასწავლებლის დამთავრების ნიშნის დაკარგვა. დაიკარგა კიევის კომერციულ ინსტიტუტის დამთავრების ნიშანი. პატრონი უმორჩილესად სთხოვს მნახველს წარმოადგინოს ნიშანი „ჩვენი ქვეყნი"-ს რედაქციაში, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ. რომ ტყიბულის მატარებელში 29 ივნისს დაიკარგა „საკვოიაჟი" რომელშიდაც იყო ფული, ქალის ხალათი, ბეჭედი და სხვა ნივთები: მნახველს სთხოვენ ხსენებული „საკვოიაჟი" მოიტანოს ძველ თბილისის ქუჩაზე, დ. კანდელაკის სახლებში, რისთვისაც მიიღებს გასამჯელოს.

— უბედური შემთხვევა. 28 ივნისს მდ. რიონში ბანაობის დროს ჯაჭვის ხიდთან წყალმა წაიქცია და დაახრჩო ალექსანდრე იოსების ძე ციბაძე, 12 წლისა. ამჟამად რიონი მეტად ადიდებული მოდის, მაგრამ ცელქი ბავშვები მაინც ბანაობენ, რის გამოც უბედურება ყოველ დღე მოსალოდნელი. საჭიროა ადმინისტრატიულის წესით აიკრძალოს ადიდებულ რიონში ბანაობა და ბანაობისთვის მოეწყოს ცალკე საბანაო ადგილი, როგორც ეს თბილისშია.

✦ ცნობები მილიციის სამმართველოდან. ქუთ. სახ. მილიციის უფროსი პორუჩიკი ივ. ქლენტი აცხადებს, რომ მილიციის სამმართველოში ყოველ დღე მიდიან ცოფიან ძაღლებისგან დაკბენილები და ჩივიან; საჭიროა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიექცეს.

ი. ქლენტმა განკარგულება გასცა, რათა ყოველ მეხილემ ხილს გადააფაროს თხელი მიტკალი, ვინცამ განკარგულებას არ შეასრულებს, სავაჭროს დაუკეტავენ.

✦ ღვინის გაყიდვის საქმე. ამ დღეებში გაარჩევენ ღვინის გაყიდვის კითხვას.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ; ანტონ შარვაძემ დაკარგა შაქრის ბარათი. მნახველს სთხოვს გადასცეს შემდეგის მისამართით: საფიჩხიის ქ. საკ. სახლი, ანტ. შარვაძეს.

✦ სასურსათო საქმე. ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დააფქვევინა სიმინდი და ფქვილი დაურიგა კოოპერატივებს და სასურსათო კომიტეტის სავაჭროებს. ფუთი სიმინდის ფქვილი ღირს 4 მან. და 50 კაპ.

## პროვინცია.

✦ სოფ. ბანძა (სამეგრელო). ხვალ, კვირას, 2 ივლისს, აქ მოხდება სოფლის ყრილობა. სხვათა შორის ყრილობაზე გაიმართება კამათი მიწის კითხვის შესახებ.

✦ სოფ. ბუგეული (რაჭა). წარსულ თვის 11-ს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა აქ წარმოადგინეს ი. გედევანიშვილის დრამა „გამცემი" წარმოდგენის შემოსავალი 82 მან. და 30 კაპ. გადაიდო ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ.

✦ დ. ხარაგაული კვირას 2 ივლისს, ადგილობრივ სახალხო სახლის სასარგებლოთ გაიმართება სალამო სეირნობით სალამოს პროგრამა შემდეგია: ლოტარეა, ალეგრა, ცეკვა და ვახშამი. სალამო სეირნობა იმართება საგანგებო კომისიის ზედამხედველობით.

# რბევა.

(შემთხვევითი დეპეშა „გოზროჟდენიე"-ს).

ჰასანკალის მაზრაში, სოფ ჰოლანდორში, ჯარის კაცთა; ვართანოვის, დოლუხანოვის, კარანოვის, ანანიანცისა და ტერ-დაკლათოვის თაოსნობით, პრეობრაჟენის პოლკის მე 7-დე დრუჟინის კომანდირის ნებართვით და თითქმის ყველა ორს როტაში მყოფ სომეხ ჯარის კაცთა მონაწილეობით და მილიციონერთა დახმარებით მოახდინეს დიდი ჩხრეკა ვითომდა იმ მიზნით, რომ განეთავისუფლებიათ თათრების მიერ დაპატიმრებული სომხის ქალი. შეიარაღებული სომეხი სალდათები შეესიენ თურქთა ოჯახებს. მოხადეს ქალებს პირბადეები და მირეკეს მეჩეთში. ჩხრეკა გრძელდებოდა. სახლის პატრონების შინ არ ყოფნის გამო საოჯახო ნივთები მთლად დაიტაცეს. მოუყარეს მეჩეთში ყველა ქალს თავი და 200 სალდათმა, ვართანოვმა და სხვებმა პრეობრაჟენის პოლკის კაპიტანის თანადასწრებით დაუწყეს ქალებს პირბადეების მოგლეჯა, რათა გამოეცნოთ სომხის ქალი. იყო შემთხვევები, როცა ძუძუ მწოვარ ბავშვებს სწყვეტდენ დედას გულიდან, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ის სომხის ქილი არ არის.

ქალთა საერთო რიცხვიდან, ასეთი ძალადობის შემდეგ, დააკავეს ორი ქალი, რომელთაგან ერთს 35 წლის უკან, ხოლო მეორეს 8 წლის წინედ მიუღიათ მუსულმანობა, მათი კატეგორიული თქმის თანახმად, ნებაყოფლობით. ამისა დამიუხედავად გადასწყვიტეს მათი დაუყოვნებლივ სომხურ შტაბში გაგზავნა. მხოლოდ შვილებთან გამოთხოვების გულის ამჩუყებელ სურათმა აიძულა სხვა სალდათები პროტესტი გაეცხადებიათ გაგზავნის გამო. შეიარაღებულ ჯარის კაცებს რომელნიც გამგზავრებულ მამასახლისს კევანკს დაედევნენ, მიეკედლა ექიმი ტერ-ზახარიანცი, რომელმაც სტაცა ვინტოვკას ხელი ვითომდა მამასახლისისაგან სომხის ქალის დასახსნელად. როგორც ერთი მოწმის გადმოცემით გამოირკვა, რომელიც მათ თან მისდევდა, სალდათები დაეწიენ მამასახლისს დასისხლიანებული მიიყვანეს ჰოლონდარში.

გამოძიებაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე დელეგატები საოლქო საბჭოსი გუძენკო, იშხანიანცი, საოლქო კომისარი სპერანსკი და ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების ხნისის რაიონის რწმუნებული სულთანოვი.

# ეროვნული კითხვა

უკრაინელთა საგუბერნიო ყრილობა.

კიევში მოწვეულმა უკრაინელთა საგუბერნიო ყრილობამ უკრაინისათვის უზენაეს სახელმწიფოებრივ ორგანოდ რადა აღიარა და დაადგინა, რომ „უნივერსალი" ყველა ეკლესიაში წაკითხულ იქნეს დროებითი მთავრობის დადგენილებანი უკრაინისათვის ძალაში უნდა შევიდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ განიხილავს და მიიღებს უკრაინული რადაო. უკრაინის ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებამ მთავრობასთან მხოლოდ რადის შემწეობით უნდა იქონიოს დამოკიდებულებაო. ყრილობას სასურველად მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი თავდაპირველად უკრაინის კასაში იყრიდეს თავს და მთავრობას ფული მხოლოდ რადასთან შეთანხმებით ეძლეოდეს. ყრილობამ სთხოვა რადას, გამოსცეს ბრძანება, რომ ფოსტა-ტელეგრაფისა, სკოლისა და სხვა დაწესებულებათა უკრაინიზაცია მოახდინონ ყრილობამ განიხილა საერობო დებულება და სახელიც კი შეუცვალა.

პოლიტიკური სეირნობა.

აღმასრულებელმა კომიტეტმა მდინარე დნეპრზე პოლიტიკური სეირნობა გამართა სადილის დროს უკრაინის სეკრეტარიატის მეთაურმა ვ. ნიჩენკომ განმარტა, რომ სეკრეტარიატი ამჟამად ადგილობრივი მთავრობა კი არ არის, არამედ პრაქტიკული ორგანო ადგილობრივ კითხვების გადასაწყვეტად. მომავალში კი, თუ ანარქია გამეფთა, სეკრეტარიატს უკრაინისათვის სხვა-მნიშვნელობაც ექნება.

რუსეთის ჯარის შეტევის გამო ვინიჩენკომ განაცხადა, რომ უკრაინელთა პოლიტიკურ აზრის ერთი მიმდინარეობა რუსეთისაგან არაფერს ელის და სასიამოვნოდ სცნობს, რომ გერმანელთა შემოსევა ფრონტზე გზა გაეხსნას.

ავანტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს მთავრობის დამოკიდებულება უკრაინელთადმი, რომელი დამოკიდებულებაც სეპარატისტებს, ავანტურისტებს და გერმანოფილებს ამრავლებსო სთქვა ვინიჩენკომ.

სეირნობა შუა-ღამემდე გაგრძელდა.

უკრაინელი ჯარისკაცები.

ხარკოვში გაიარა მატარებელით უკრაინულ ჯარების ორმა რაზმმა. თითქმის ყოველი ვაგონი უკრაინული დროშით იყო შემკული. როგორც ჯარისკაცთა სიტყვებიდან გამოირკვა, ისინი კიევს მიდიოდენ, რათა თავისი თავი უკრაინის ცენტრალ რადის განკარგულებაში გადაეცათ.

„უნივერსალის" მეწუნარება.

პოლტავის სოც.-დემ. კომიტეტმა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ „უნივერსალის" შესახებ რეზოლუცია გამოიტანა. რეზოლუცია მიესალმება უნივერსალს და მას უკრაინის რევოლუციურ აქტად აღიარებს და მოუწოდებს დემოკრატიას უნივერსალს მხარი დაუჭიროს.

# დარიგება

## ქალაქის თვითმართველობისთვის, თუ როგორ უნდა ისარგებლოს დროებითი წესების ხმოსნების არჩევნებისთვის

10. სახმოსნო კანდიდატების სიები ქალაქის მოურავს წარედგინება და ჩამორთმევა მიღების ბარათი სიაზე ერთ ერთ ხელის-მომწერისგან. წარმოდგენილ სიაში მოთავსებულ თითეული კანდიდატის შესახებ ნაჩვენები უნდა ეყოს ცნობები, რომელთაც შეიტანენ საარჩევნო სიაში; ასეთისავე სისრულით და უკლებლივ უნდა აწერდენ ხელს სიას მისი წარმომდგენელნი. ქალაქის მოურავი წარდგენილ სიებს გადაათვალიერებს მიღებისთანვე და თუ რამ ნახა შიგ ისეთი, რაც არ ეთანხმება დროებითი წესების მე-14 მუხლს—მიაქცევს ამავე სიის წარმომადგენელთა ყურადღებას იმ შემთხვევისათვის თუ ისინი მოისურვებენ სიის შესწორებას. ამასთანვე სიის წარმომდგენ ამომრჩეველთა

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ გარამოებას, რომ თუ სიაში მოათავსეს ასარჩევ ხმოსანთა საზოგადო რიცხვის ნაკლები, ამან არჩევნების შემდეგ შეუძლია გამოიწვიოს დროებითი წესების მე-26 მუხლის ხმარება, ე. ი. რაც აკლია წარდგენილი სიით ამორჩეულთა საზოგადო რიცხვს იმის, სხვა სიათა შორის განაწილება.

იმ პირებმა, რომელნიც განცხადებულ სიაში არიან შეტანილი სახმოსნო კანდიდატებად, უნდა დაამოწმონ თავისი თანხმობა რომ, თუ არჩეული იქნებიან, იკისრებენ ხმოსნობას, წარწერით თვით სიაზე, ან წერილით, ან დეპეშით ქალაქის მოურავის სახელზე. ის კანდიდატები, რომელთა შესახებ არ იქნება მიღებული სათანადო ცნობა მათ მიერ ხმოსნობის წოდების მიღების თაობაზე განცხადებული სიების გამოქვეყნებამდის ორი დღის წინად, ამ სიებიდან გამოირიცხებიან. თითოეულ პირს, რომელიც ადგენს სიას, ამ სიის მიღებისთანავე უთითებენ ამ წესებზე და წინდაწინვე აფრთხილებენ.

ქალაქის მოურავი დროზედვე ღებულობს ყველა საჭირო ზომებს, რომ განცხადებულ სიათა გამოქვეყნება მოხდეს არა უგვიანეს დროებითი წესების მე-14 მუხლში მოხსენებული ვადისა, ამასთანავე ერთსა და იმავე დროს და იმავე საშვალებით სიები დალაგებული უნდა იყოს მათი ნუმერაციის რიგზე. სიების წარმომდგენ ამ სიების ქვეშ ხელის-მოწერის დაბეჭდვა აკრძალულია. ეს სიები გამოქვეყნდება ქალაქის მოურავისა და გამგეობის არა ნაკლებ ორ წევრისგან ხელმოწერილი.

უკეთუ ქალაქის მოურავი უარს იტყვის, რომელიმე სიის გამოქვეყნებაზე მისი სისწორით შეუდგენლობისა გამო,—დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ გაასაჩივრონ ეს არჩევნების სისწორის გასჩივრების ერთად იმავე დროს დროებით წესების 31 და 32 მუხლების თანახმად, რომლებიც ეხება ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნებს.

11) არჩევნების დანიშნავს დროს ერთ-ერთ კვირა ან სხვა უქმე დღისთვის, (დრ. წეს. 13 მუხ.), რომ ცხოვრებთა უმრავლესობას შეძლება მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, ყურადღება მიექცეს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, ყურადღება უნდა მიექცეს მცხოვრებთა დაყოფვას ეროვნების სარწმუნოებისა და ადგილობრივ განსხვავებათა მიხედვით.

12. არჩევნების მოსახდენად ქალაქის გამგეობა წინდაწინვე ამზადებს საარჩევნო ბარათებს, საარჩევნო ბიულეტენებს, მათთვის კონვერტებს (დრ. წეს. 17 და 20 მუხ.) და ურიგებს ამ ნივთებს ამომრჩევლებს, რომელნიც მოითხოვენ, ამასთანავე აძლევს მათ საჭირო ახსნა-განმარტებას. საარჩევნო ბარათები პირველი არჩევნებისათვის მიცემული, გამოდგება იმ არჩევნებისთვისა, რომელნიც აღნიშნულია დრ. წეს. 32 და 35 მუხლებში იმ პირთ, რომელთაც პირველ არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა და აგრეთვე იმათაც, რომელთაც დაუკარგავთ საარჩევნო ბარათები, შეუძლიათ მიიღონ ქალაქის გამგეობიდან ახალი საარჩევნო ბარათები და მონაწილეობა მიიღონ ახალ დანიშნულ არჩნევებში.

13. არჩევნების მოსახდენად ქალაქის გამგეობა შესაფერ შენობას შოულობს, უმეტეს ნაწილად საზოგადო სახმარებელ სახლებში. თითოეულ საარჩევნო შენობაში ფარული კენჭის ყრის უზრუნველსაყოფად დანიშნულია რამოდენიმე ადგილი, სადაც საარჩევნო ბარათების შესადგენად დალაგებულია საწერლო ნივთები. გარდა ამისა, საარჩევნო შენობაში, ქალაქის გამგეობის შეხედულობით, შეიძლება გამოიყოს გარეშე პირთათვის რამდენიმე, თუნდა ცოტაც, ადგილი, რომ ამ პირთ შეძლება ჰქონდესთ არჩევნებს დაესწრონ ისე, რომ არჩევნების წესიერ მიმდინარეობას კი ხელი არ შეუშალონ.

14. არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიების ბინის კარები მუდამ ღიაა დილის 9 საათ. საღამოს 9 საათამდის (დრ. წეს. 13 მუხ.) საარჩევნო შენობის შესავალთან გაკრული უნდა იყოს კომისიის წევრთა სია. როცა საჭიროება მოითხოვს კომისიის თავმჯდომარის დროებით სადმე წასვლას, მაშინ თავმჯდომარეობა გადაეცემა კომისიის ერთ-ერთ იქ მყოფ წევრთაგანს.

საარჩევნო კომისიებისათვის საკანცელარიო სამუშაოში საშველად ქალაქის გამგეობა გზავნის თავის მოსამსახურეებს.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

### ანარქისტები.

დურნოვოს აგარაკში დატუსაღებულ ანარქისტებიდან შესაძლებლად სცნეს გაანთავისუფლონ მხოლოდ 4 კაცი. მაგრამ მათ განუცხადებიათ: დე, გვიყონ ის, რაც ჩვენს ძმებს უზამენ, ჩვენც მათთან ვრჩებითო. უხერხულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად მთავრობას გადაუწყვეტია მათაც წარუდგინოს ფორმალურად მცირე რამ ბრალდება.

დურნოვოს აგარაკში ამ ჟამად 56 კაცი და 3 ქალი ანარქისტი იმყოფება მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებას არც ერთი მათგანი არ იძლევა, მათ მაინც არ გაანთავისუფლებენ.

ანარქისტები ცდილან ჯარის საშუალებით გაენთავისუფლებიათ დურნოვოს აგარაკებში. მაგრამ ჯარის ნაწილები მათ არ გაჰყოლიან.

პეტროგრადში ანარქისტები მოითხოვდენ ყველა დატუსაღებულ ბოლშევიკების განთავისუფლებას. ჯარი მათ სურვილს წინ აღუდგა. ბოლშევიკებმა ჯარს ქვები დაუშინეს.

### რკინის გზის მოძრაობის მოწესრიგებისათვის

რუსეთ-ამერიკის სარკინიგზო კომისიას რუსეთის რკინის გზებზე მოძრაობის მოსაწესრიგებლად ამერიკაში დაუკვეთია 2,500 ორთქლმავალი და 40,000 ვაგონი.

### ხელშეკრულობის ერთი მუხლის გაუქმება.

რადგანაც რუსეთში სასურსათო კრიზისი თანდათან ძლიერდება და მისი გამწვავება ომის წესიერ მსვლელობას ხელ შეუშლიდა, ინგლისმა და საფრანგეთმა გადასწყვიტეს მიმდინარე წელს აღარ მოსთხოვონ ხორბალი, როგორც შარშან, თუმცა რუსეთი მოვალე იყო ამისა.

### გენ. რენენკამფის საქმე

საგამომძიებლო კომისიამ დაიწყო გენ. რენიეკამფის საქმის გარჩევა. მას ბრალდება აღმოსავლეთ პრუსიაში შეტევის დროს კერძო პირთა ქონების დატაცება და 1905 წ. ციმბირის დამსჯელ ექსპედიციის მოწყობა.

### გაზ. „პრავდა“.

გაზ. „პრავდა“ მძაფრ კომპანიას ეწევა დაწყებულ შეტევის წინააღმდეგ. გერმანელები სხვადასხვა ფრონტზე პროკლამაციებს ყრიან, რომელშიც სწერია: დაამხეთ დროებითი მმართველობა და შევრიგდეთო. გაზ. „პრავდა“ ამ მოვლენით გახარებულია.

### ბურცევი დიდ პროვოკატორის შესახებ.

ამას წინად ბურცევმა სთქვა: „ამ მოკლე დროში გამოვაქვეყნებ ერთ დიდ პროვაკატორის სახელსო. ახლა ბურცევი აცხადებს, რომ მდგომარე მომენტისათვის იგი მავნებლათ სთვლის ხსენებულ პროვაკატორის სახელის გამოქვეყნებას რადგან იგი (პროვაკატორი) მონაწილეა ამ დიდი მოძრაობისა და მის სახელთან დაკავშირებული ჩვენთვის ძვირფასი მოგონებათაგანი.

### ანარქია კიევში.

კიევში მმართველობა ჯარის-კაცების გან შემდგარმა ბრბოემა ჩაიგდეს ხელში. ესენი შედიან კერძო სახლებში, იტაცებენ ქონებას. განსაკუთრებით ავიწროებენ ებრაელებს.

### ჯარის გადადგომა.

ფინეთის და მოსკოვის პოლკები პოზიციაზე წასვლაზე უარს ამბობენ.

### თ ა თ რ ე ბ ი.

ქ. სიმფეროპოლში სხვადასხვა ნაწილებში მყოფმა თათარმა ჯარის კაცებმა გადასწყვიტეს ცალკე გამოყოფა და ეროვნულ ერთეულის შედგენა. თათართა სურვილს ბრიგადის კომანდირი წინ აღუდგა. თათრებმა დემონსტრატიულად დასტოვეს ყაზარმები და თათრულ სკოლაში შეიკრიბენ.

### როგორ შეხვდენ ფინელები რუსეთის მუშ. და ჯარის საბჭოს დელეგაციას.

ფინეთში ჩავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დელეგატები ფინეთში ხესხის ასაღებად. ფინელები გულცივად შეხვდენ დელეგაციის წევრებს და განაცხადეს: „ფინეთი მისცემს სესხს რუსეთს იმ პირობით, თუ ფოსტა-ტელეგრაფი და სახელმწიფო შენობები დაუყოვნებლივ ფინეთს გადაეცემა: ფინეთის სოც. დემ. წარმომადგენლებმა ირონიულად მიმართა რუს. სოც. დემ. -ბს. ევ. გეგეჭკორის შესახებ ფინეთის ერთმა სოც. დემ. სთქვა: „დიდი ხანია მას შემდეგ, რაც გეგეჭკორმა დემოკრატიის ინტერესებს უღალატაო.“

### შეტევის წინ მომქმედ ჯარში.

გაზ. „უტრო როსსი“-ის სპეციალი კორესპოდენტი მომქმედ ჯარიდან იტყობინება:

აღსრულდა. რევოლუციურ რუსეთის ჯარი ბრძოლად გავიდა.

ივნისის 18, დილის 5 საათი. უკვე მესამე დღეა, რაც ჩვენი ზარბაზნები განუწყვეტლივ მოქმედებენ და მტრის სიმაგრეებს მიწასთან ასწორებენ. მფრინავები გვაცნობებენ, რომ მტრის პირველი ხაზის სიმაგრეები დანგრეულია. მტრის პოზიციებს ზევით წამდა უწუმ თეთრი რაკეტები სკდება—ეს განგაშის ნიშანია.

ბრზეჟენში ჩვენმა ყუმბარებმა ცეცხლი გააჩინეს. იწვის აგრეთვე გალიჩი.

სამხედრო მინისტრი კერენსკი მთელი ღამის განმავლობაში პოზიციებს ათვალიერებდა. ის ესეც არის ერთ ერთი საიერიშო არმიის შტაბში მოვიდა, ეხლავე ისევ თხრილებში უნდა წავიდეს. მინისტრი ჯარს სიტყვით მიმართავს, მოუწოდებს მათ, რომ გმირულად შეასრულოს თავისი მოვალეობა. მის სიტყვებსა და მის თხრილებში ყოფნას ჯარი აღფრთოვანებაში მოჰყავს აღტაცებული ჯარისკაცები გაიძახიან: ბრძოლაში გაგვიყვანეთო!

ესეც არის ტელეფონით გვატყობინებენ, რომ კერენსკის სურს პირადათ გაუძღვეს ბრძოლაში პირველ საიერიშო რაზმებს. ჯარისკაცები ევედრებიან, სიცოცხლეს გაუფრთხილდიო, რადგან შენი სიცოცხლე რუსეთისთვის საჭიროაო.

### პეტროგრადის მუშ. და ჯარისკ. დეპუტატების საბჭოში.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში მინისტრმა ირ. წერეთელმა რუსის ლაშქრის მიერ დაწყებულ შეტევის შესახებ მოხსენება წაიკითხა. წერეთელი აღნიშნავდა, რომ არსებულ მომენტისთვის შეტევა მიუცილებელიაო. წერეთელს უპასუხა ბოლშევიკმა პოლიანსკიმ, მან სთქვა: ,,ისტორია აღბეჭდავს, რომ ნიკოლოზ მეორეს მეფობის შემდეგ იყო მეფობა ,,წერეთელ სისხლის მღვრელისა‘‘.

## უცხოეთი.

რუსეთს ეხმარებიან ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა დრ. რუსეთის მმართველობას აცნობეს, რომ ისინი ითვალისწინებენ რუსეთის გასაჭირს სურსათ სანოვაგის დარგში და, რუსეთს ანთავისუფლებენ ხელშეკრულების იმ მუხლისაგან, რომელიც მას ვალდებულათ ხდიდა 1917 წ. ინგლისისათვის და საფრანგეთისა-თვის საჭირო ხორბალი გადაეცა.

სტოკჰოლმის კონფერენცია. გერმანეთის სოც დემ. უმცირესობის მეთაურს, ბერნშტეინს ზავის ადრე ჩამოგდების შესაძლებლობის შესახებ განუცხადებია:

არა მაქვს იმედი, რომ მშვიდობიანობა ადრე ჩამოვარდება. გერმანეთის ოფიცრები ორმაგ ჯამაგირს იღებენ, რის გამო ისინი ომის განგრძობას ემხრობიან. ომის განგრძობასვე მოითხოვენ მსხვილი მრეწველობა, აგრარიები და ქალაქის ბურჟუაზია, რომელიც საოკარის სისწრაფით მდიდრდება. გაჭირვებას განიცდის მხოლოდ მუშათა კლასი, თუმცა იგი ძლიერ დიდ ხელფასს იღებს. რაც შეეხება ჯარისკაცებს, იმათ იმპერიალისტურ ლიტერატურით თავბრუ დაასხეს და ჩააგონეს, რომ თუ გერმანეთი ამ ომიდან ხელცარიელი გამოვიდა, გერმანელ ხალხს ისეთი ხარჯები დააწვება თავს, რომელსაც ის ვერ გაუძლებს. ბრძოლის ველზე მყოფ ჯარს ასეთი რამ სჯერა. გერმანეთის ოფიცრებმა მითხრეს ამასწინედ: ბრძოლის ველს რომ შეეკითხოთ, რა ვირჩევნიათ, ომი შევწყვიტოთ და ხელცარიელი დავრჩეთ, თუ ომი განვაგრძოთ, მეტი თუ არა, ნახევარი ჯარისა მაინც ომის ამიგანგრძობის მომხრე იქნებაო. გარდა სა, ომის ჩქარა დასრულების იმედი არა მაქვს, რადგან ომი ისე გართულდა, რომ მორიგება საზღვრების ნაწილობრივი შესწორების საფუძველზე შეუძლებელი მგონია. მსოფლიო ომი სამი წლის განმავლობაში თითქმის უნებლიედ მილიტარიზმისწინააღმდეგ მიმართულ დემოკრატიის ომად გარდაიქცა. გარდა ამისა, გერმანეთისადმი სიძულვილი ისე გაიზარდა, რომ მორიგება შესაძლო იქნება მხოლოდ, თუ გერმანეთი თვალსაჩინო დათმობის გზას დაადგება, მაგრამ ამის იმედი, ჩემი აზრით, არ უნდა ვიქონიოთ.

## დაგვიანებული პასუხი ბ-ნს რუსეიშვილს.

ბოდიშს ვიხდი თქვენი წერილის პასუხის დაგვიანებისათვის, რომელიც მოთავსებულია გაზეთ ,,ჩვენი ქვეყანა‘‘-ში (№ 6). ამის მიზეზი იყო ჩემი ქუთაისში არ ყოფნა. ახლა კი იძულებული ვარ აღვნიშნო, რომ თქვენი წერილის შინაარსი სრული სიყალბეა და შიგ იოტის ოდენა სიმართლეც არ ურევია.

1. მე კუჭავას საკანდიტეროში მოვითხოვე 2 გირვანქა ბულკი და არა 4, როგორც თქვენა სწერთ, მაგრამ ამაზედაც უარი მითხრეს. როდესაც მე ავუხსენი ბულკი ავათმყოფისათვის მინდათქო მიპასუხეს, ყველა ასე ამბობს და ჩვენ ყველას ვერ დავაკმაყოფილებთო. ამან, ცოტა არ იყოს, ამაღელვა, თითქოს მე ტყვილს ვეუბნებოდი და შევნიშნე ვისაც გინდათ, ორს კი არა, ოთხ გირვანქასაც აძლევთ და მე რატომ ორ გირვანქაზე მეუბნებით უარს; ეს არ არის პატიოსნება-თქო. ამ სიტყვებით მეც წამოვედი; არ მინდოდა ამის შემდეგ, საკანდიტეროს პატრონი კუჭავა ან სხვა ვინმე ნაცნობი გამოსულიყო და ნაცნობობით მოეცა ჩემთვის მოთხოვნილი ბულკი სასურველი იყო შემდეგ მენახა კუჭავა და მისთვის მეთქვა საყვედური, რომ საკანდიტეროში ნაცნობობით ხელმძღვანელობენ ბულკის გაყიდვის დროს. მაგრამ, რადგანაც ქუჭავას მაგივრათ თქვენ მოდით საკანდიტეროსათვის ფქვილის საყიდლათ, ხსენებული საყვედურით თქვენ მოგმართეთ, როგორც მის ამხანაგს თქვენ მიპასუხეთ, უთუოდ ვერ უცვნიხართ, თორემ როგორ არ მოგცემდენო. ამ თქვენი სიტყვიდგან ნათლად სჩანს, რომ თქვენ ბულკის გაყიდვის დროს ნაცნობობით ხელმძღვანელობთ.

2. ბრძანებთ, თითქოს მე მოსამსახურეს დავემუქრე ფქვილს და შაქარს არ მოგცემთქო. სრული სიცრუეა. ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ მე არც ფქვილს და არც შაქარს არავის არ ვაძლევ. მაშ როგორ შემეძლო ასეთი დამუქრება?

3. შემდეგ ამბობთ, თითქოს მე, წავიკითხე თუ არა ,,ორდერზე‘‘ კუჭავას გვარი, იმ წამსვე ბარათი განზე გადავდე და შეუდექი თქვენს შემდეგ მოსულთა დაკმაყოფილებას ესეც სრული სიცრუეა. საქმე ასე იყო: როდესაც ჩემს გვერდით მჯდომი ბუხგალტრის თანაშემწე თქვენს ,,ორდერსა‘‘ სწერდა, მე სიჩქარისთვის ორდერის გადმოცემამდის ჩავწერე ჩემს წიგნში კუჭავას სახელი, გვარი და მისადები ფულის რაოდენობაც. როდესაც ორდერი თქვენ გადმოგცეს. მაშინ ფული დათვლილი და, მგონი, სრულიად არც კი გქონდათ ჯიბეში და ამიტომ შეგვეკითხეთ შეიძლება თუ არა, რომ ეს ორდერი წავიღო, ფული ხვალ შემოვიტანო და ფქვილიც ხვალ წავიღოო. ამის პასუხათ მე გითხარით, ხვალ ფულის მიღება გაძნელდება, რადგან ძლიერ დიდი მუშაობა იქნება; ამიტომ უმჯობესია ან დღესვე შემოიტანოთ ფული, ან ზეგთქო. ამ ლაპარაკის დროს მეორე მუშტარმა მომაწოდა ორდერი და ფულიც და მეც რომ დრო არ დამეკარგა, სანამ თქვენ რამე გზას დაადგებოდით ფულის შემოტანის შესახებ, გამოვართვი, ჩავწერე და შეუდექი თვლას თქვენ ეს არ გიამათ და მაშინვე პროტესტი განაცხადეთ, რაზედაც მე გიპასუხეთ, დრო არა მქვს, რომ გიცადოთ, სანამ გადაწყვეტდეთ, როდის შემოიტანოთ ფული ან ფულს დაითვლიდეთქო ამის შემდეგ თქვენ კიდევ წასულხართ, რაც მე არც კი შემიმჩნევია, სანამ მეორე პირისაგან ფულის მიღება არ გავათავე.

4. დასასრულ ამბობთ: ,,თქვენ მე ფქვილი არ მომეცით და ამის გამო ჩემს საკანდიტეროში მცხოვრებთათვის საჭირო ბულკი ვერ გამოვაცხვეთ. ამას, ცოტა არ იყოს, მცხოვრებლების წინაშე უაბეზღების სუნი უდის, რაც არ ეკადრება კეთილ სინდისიან მუშას.

ვთქვათ, მე მართლა ჩავიდინე ცუდი საქმე და თქვენგან ფული თავის დროზე არ მივიღე, რითაც რამოდენიმე წამი დააგვიანეთ, მაგრამ განა შეიძლება იმის თქმაც, რომ მე თქვენ ფქვილი არ მოგეცით და ამით მცხოვრებლები დავამშიე? თუ მე ასეთი უსინიდისობა ჩავიდინე, თქვენ ადვილად შეგეძლოთ იმ წამშივე იქვე მყოფი ჩემი უფროსებისათვის მიგემართათ და ისინი დაუყონებლივ დააკმაყოფილებდენ თქვენს კანონიერ საჩივარს.

დასასრულ გმადლობთ ჭკუის დარიგებისა და ჩემი მოვალეობის ახსნისათვის, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ამ სტრიქონების დამწერი არც ძველი რეჟიმის დროს ჩამოუვარდება. უკეთესი იქნება, სამართლიანობა თქვენს საკანდიტეროში დაიცვათ და ყოველ მუშტარს ერთგვარათ მოეპყრათ, მიუხედავად ნაცნობობისა და ნათელ-მირონობისა.

ამით დროს უქონლობის გამო ვწყვეტ თქვენთან ყოველ გვარ წერილობით კამათს, მხოლოდ, თუ გსურთ, შეგიძლიათ გამომიწვიოთ სამედიატორო სამართალში იმ პირობით კი, რომ ვინც გამტყუნდეს, გადაიხადოს წერა კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სასარგებლოთ ხუთი თუმანი.

ს. ავალიანი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ზ. კვირკელია.

## ექიმები:

**ზ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

## რკინისგზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |
| ბათუმიდან სააგარაკო | დღის | 2 ს. 48 | წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 8 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |
| ბათუმისაკენ სააგარაკო | დღის | 3 ს. 16 | წ. |

## თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის

### განცხადება.

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა კაზმულ-სიტყვიერებითი ქრისტომატია „**ჩვენი ახალი მწერლობა**“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ და გამოცემული მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისა. წიგნში მოთავსებულია მე-19 საუკუნის ჩვენის საუკეთესო მგოსანთა და მწერალთა რჩეული ნაწარმოებნი (გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, ვახტ. ორბელიანი, გ. ერისთავი, დან. ჭონქაძე, რაფ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ჭავჭავაძე, გ. გურიელი და ანტ. ფურცელაძე). წიგნი დიდი ფორმატისაა (600 გვერდი), დაბეჭდილია თეთრსა და მტკიცე ქაღალდზე და ღირს 3 მან. და 10 შაურად. იყიდება ქუთაისში გამომცემელთან, თფილისში წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში.

აქვე იყიდება ამავე ამხანაგობის გამოცემა „**ია ეკალაძე. მოთხრობები**“, წიგნი 1, ფასი ათი შაური. 10—1.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში